

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

შოზრო № IHM-17-30- GTU- CD-5259

ინსტიტუტის დირექტორი

თ. ცინცაძე

25 დეკემბერი 2016 წ

კურორტ ბახმაროს ზვავსაშიშროება

AVALANCHE HAZARD AT THE HEALTH RESORT BAKHMARO

ЛАВИНООПАСНОСТЬ КУРОРТА БАХМАРО



თ ბ ი ლ ი ს ი

2 0 1 6

1

ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის
დირექტორი, ტექნიკურ მეცნიერებათა
აკადემიური დოქტორი

თ.ცინცაძე

ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის
სამეცნიერო საბჭოს თავჯდომარე,
წყლის რესურსებისა და ჰიდროლოგიური
პროგნოზების განყოფილების გამგე,
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა
დოქტორი

ნ.ბეგალიშვილი

პასუხისმგებელი შემსრულებელი,
უფროსი მეცნიერ თანამშრომელი,
გეოგრაფიის მეცნიერებათა აკადემიური
დოქტორი

მ. სალუქვაძე

რ ე ზ ი უ მ ე

ზვავწარმომქმნელი ფაქტორების თავისებურებათა, საარქივო, ლიტერატურული, ექსპედიციური და კარტოგრაფიული მასალების ანალიზის საფუძველზე დადგენილია კურორტ ბახმაროს ზვავსაშიშროება. კერძოდ, დადგინდა 32 ზვავშემკრების გავრცელების საზღვრები და მორფომეტრიული მახასიათებლები, გამოვლინდა რეჟიმი და გამოთვლილია ზვავების დინამიკური მახასიათებლები. შედგენილია ზვავშემკრების გავრცელების მსხვილმასშტაბიანი რუკა. ზვავწარმომქმნელი ფაქტორების (რელიეფი, კლიმატი, მცენარეული საფარი) და ზვავსაშიშროების გათვალისწინებით, კურორტ ბახმაროს ზვავებისაგან დაცვის მიზნით, შემუშავებულია ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებები.

S u m m a r y

On a basis of the of avalanching factors peculiarities, published data, expedition and cartographic materials the avalanche hazard for the health resort Bakhmaro has been established. Particularly, the limits of propagation and morphometric indices of 32 avalanche collectors were determined, the regime was discovered and dynamical characteristics of avalanches were calculated, large-scale map of avalanche propagation has been drawn. Tacing into account the peculiarities of avalanching factors (relief, climate, vegetation) and avalanche hazard the recommendations for avalanche protection measures were developed for the health resort Bakhmaro.

Р е з ю м е

На основе анализа особенностей лавинообразующих факторов, архивных, литературных, экспедиционных и картографических материалов установлена лавиноопасность курорта Бахмаро. В частности, определены границы распространения лавиносборов, выявлен режим и вычислены динамические характеристики лавин, составлена крупномасштабная карта распространения лавиносборов. С учетом особенностей лавинообразующих факторов (рельеф, климат, растительность) и лавиноопасности разработаны рекомендации мероприятий противолавинной борьбы с целью защиты курорта Бахмаро от лавин.

შ ი ნ ა ა რ ს ი

1.	ზვავწარმოქმნილი ფაქტორების თავისებურებანი კურორტ ბახმაროს მიღამოვში		
	1.1.	რელიეფი	
	1.2.	მცენარეული საფარი	
2	კლიმატი		
	2.1.	ჰაერის ტემპერატურა	
	2.2.	ქარი	
	2.3.	ნალექები	
	2.4.	თოვლის საფარი	
3	თოვლის ზვავების ძირითადი პარამეტრების დადგენის მეთოდები		
4	თოვლის ზვავების ბავრცელება და რეჟიმი		
	4.1.	ზვავსაშიშროების ზოგადი დახასიათება	
	4.2.	კურორტ ბახმაროს ზვავსაშიშროება	
5	კურორტ ბახმაროს ტერიტორიაზე განსახორციელებელი ზვავსაწი-ნაადგილო ღონისძიებები		
ლიტერატურა			
ღ ა ნ ა რ ა რ თ ი			

1. ზვავწარმოქმნელი ფაქტორების თავისებურებანი კურორტ ბახმაროს მიდამოებში

მთის ჰაერი, მინერალური წყლები და წიწვოვანი ტყე კურორტ ბახმაროზე ათასობით დამსვენებელს იზიდავს. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტორს, რომ აქ თოვლი რამდენიმე თვე დევს, გაყვანილია საავტომობილო გზა და ამასთანავე დასავლეთ საქართველოში არ არის ბაკურიანისა და გუდაურის მსგავსი კეთილმოწყობილი ზამთრის კურორტი და სათხილამურო ტრასები, არის შესაძლებლობა, რომ ბახმარო გახდეს ზამთარში დასვენებისა და სათხილამურო სპორტის განვითარების მნიშვნელოვანი კერა.

აღნიშნულ ტერიტორიაზე ერთ-ერთი ხელშემშლელი ბუნებრივი ფაქტორი თოვლის ზვავების გავრცელებაა, რომელიც ცალკეულ წლებში გარკვეულ ზიანს აყენებს კურორტს, მაგალითად 1971 წლის თებერვალში ზვავების შედეგად დაინგრა არაერთი კერძო და საკურორტო ნაგებობა. აქედან გამომდინარე კურორტის ტერიტორიის და მიმდებარე ფერდობების ზვავსაშიშროების შესწავლა და ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებების რეკომენდაციების შემუშავება აქტუალურია [1,4,10,12,13].

კურორტი ბახმარო მაღალმთიანი კლიმატური კურორტია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მდებარეობს მესხეთის ქედზე მდ. ბახვისწყლის ხეობაში, ტყის ზონის ზედა ნაწილში 1926-2050 მ-ის სიმაღლეზე და ითვლება ერთ-ერთ ყველაზე მაღალ დასახლებულ პუნქტად, ხასიათდება რთული რელიეფით. ტერიტორია ერთგვარ ქვაბულს წარმოადგენს და გარშემორტყმულია ნაძვისა და სოჭის ტყით. ბახმაროს რესპუბლიკური კურორტის სტატუსი 1922 წლიდან მიენიჭა (ნახ.1.1).



ნახ.1.1. კურორტ ბახმაროს დასახლებული ტერიტორია

ლეგენდის თანახმად კურორტის დასახლება თავადის ასულ მაროსთან არის დაკავშირებული, რომელიც თურქებმა მოიტაცეს და დადევნებულ მღევარს ხანჯლით განგმირული მარო და სისხლით წარწერა „ბახ მარო“ ანუ ნახეთ მარო დაუტოვეს.

მთიანი რაიონების ზვავსაშიშროება დამოკიდებულია გეოგრაფიულ პირობებზე, კერძოდ რელიეფზე (ოროგრაფია, ჰიფსომეტრია, ფერდობთა დახრილობა), მცენარეულ საფარზე (ტყის გავრცელება, შემადგენლობა) და კლიმატზე (ჰაერის ტემპერატურა, ქარი, ნალექები, თოვლის საფარი).

მხოლოდ რელიეფის, მცენარეული საფარის და კლიმატური პირობების ანალიზი გვაძლევს შესაძლებლობას დავადგინოთ ზვავების წარმოქმნის, რეჟიმისა და გავრცელების თავისებურებანი.

1.1. რ ე ლ ი ე ზ ი

საკვლევ ტერიტორიაზე ძირითადი ოროგრაფიული ერთეულებია: ბახვისწყლის ხეობა, მთა გადრეკილი და მისი განშტოებები, მესხეთის ქედი და მისი განშტოებები.

ბახვისწყალი საკვლელ ტერიტორიაზე მიედინება სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ, მისი კალაპოტის სიმაღლე კურორტის ტერიტორიაზე შეადგენს 1800-1850 მ-ს ზღვის დონიდან; ჭალის სიგანე ხეობის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში რამდენიმე ასეულ მეტრს შეადგენს, ჩრდილო-დასავლეთისაკენ მისი სიგანე კლებულობს რამდენიმე ათეულ მეტრამდე. ჭალა შედარებით სწორია და მისი ზედაპირის დახრილობა არ აღემატება 5-6⁰-ს. ჭალის მიმდებარე ფერდობების ზედაპირის დახრილობა 10-15⁰-ს შეადგენს.

კურორტი ბახმარო სამივე მხრიდან შემოსაზღვრულია მაღალმთიანი ქედებით: ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან მთა გადრეკილის განშტოებებით, სამხრეთიდან მესხეთის ქედის განშტოებებით, მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთიდან ესაზღვრება მდ. ბახვისწყლის ხეობის საშუალომთიანი ტერიტორია (ნახ. 1.1.1). კურორტ ბახმაროს ეს და სხვა სურათები ინტერნეტის საშუალებით არის მოპოვებული.



ნახ.1.1.1. მაღალმთიანი ქედებით შემოსაზღვრული კურორტი ბახმარო

მთა გადრეკილის (აბსოლუტური სიმაღლე 2508 მ) ჩრდილო-დასავლეთის განშტოება კურორტ ბახმაროს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება (სურ.1.1.2) იგი არ ხასიათდება დიდი აბსოლუტური სიმაღლით, მხოლოდ მისი ცალკეული მწვერვალების სიმაღლე აღწევს 2200-2300 მ-ს; განშტოების მიმდებარე ფერდობების ზედაპირის დახრილობაც არ არის დიდი, მხოლოდ ცალკეული ფერდობების დახრილობაა 20-30⁰-ი, ხოლო ფერდობების შეფარდებითი სიმაღლე შეადგენს 200-400 მ-ს.

გადრეკილის მთის სამხრეთი განშტოება კურორტ ბახმაროს აღმოსავლეთიდან ესაზღვრება და გამოირჩევა დიდი აბსოლუტური სიმაღლით, რომლის ცალკეული მწვერვალების სიმაღლე აღწევს 2300-2500 მ-ს. განშტოების მიმდებარე ფერდობების ზედაპირის დახრილობა 30-40⁰-ს შეადგენს, ხოლო ფერდობების შეფარდებითი სიმაღლე 450-650 მ-ია.

კურორტ ბახმაროს სამხრეთიდან მესხეთის ქედის ჩრდილო განშტოებები ესაზღვრება, რომლის ცალკეული მწვერვალების სიმაღლე აღწევს 2500-2600 მ-ს, მაგალითად მწვერვალ ლაშიფერდის სიმაღლე 2615 მ-ია (ნახ.1.1.3).

კურორტის მიმდებარე განშტოებების თხემების აბსოლუტური სიმაღლე 2200-2400 მეტრს შეადგენს, შეფარდებითი სიმაღლე 300-500 მეტრია, ხოლო ზედაპირის დახრილობა 25-35⁰-ია.

კურორტის ტერიტორია გამოირჩევა დიდი ჰორიზონტალური დანაწევრებით და მის ზედაპირზე მდ. ბახვისწყლის მრავალი შენაკადია.

კურორტის ფერდობები ჩრდილოეთი, დასავლეთი და სამხრეთი ექსპოზიციისა, აქ აღმოსავლეთის ექსპოზიციის ფერდობები თითქმის არ გვხვდება.



ნახ.1.1.2. მთა გადრეკილი, საიდანაც კარგად ჩანს მზის ამოსვლა



ნახ.1.1.3. მთა ლაშიფერდი (მესხეთის ქედის განშტოება)

12. მცენარეული საფარი

კურორტ ბახმაროს ტერიტორიის მცენარეული საფარი ხასიათდება ტყის ფორმაციების მრავალფეროვნებითა და ტიპოლოგიური შემადგენლობის სიმდიდრით. ბუნებრივი ტყის საფარი 2000-2200 მეტრამდე ვცვლდება. ტყის ზემოთ სუბალპური ზონა გვხვდება ცალკეული ხეებით და სუბალპური მცენარეული საფარით; სუბალპური ზონის ზემოთ ალპური ზონაა ალპური მდელოებით. სუბალპურ და ალპურ ზონას დიდი ფართობი უჭირავს, რადგან ტერიტორიის უმეტესი ნაწილი მაღალმთიან რაიონში მდებარეობს (ნახ.12.1)



ნახ.12.1. სუბალპური და ალპური ზონა კურორტ ბახმაროში



ნახ.12.2. წიწვოვანი და შერეული ტყე კურორტის ტერიტორიაზე

ტერიტორიის თითქმის ნახევარი ბუნებრივი ტყის საფართობი დაფარულია, რომლის უმეტესი ნაწილი წიწვიანია, ძირითადად ნაძვის ხეები. გვხვდება შერეული ტყეებიც. ტყის ძირითადი სახეობაა: ნაძვი, ფიჭვი, წიფელა და სხვა (ნახ.12.2).

კურორტის ტერიტორიაზე მდებარე ზვავის კერების თითქმის ნახევარი იწყება ტყის ზედა საზღვრის ქვემოთ; იმ ფერდობებზე, სადაც ბუნებრივი ტყის საფარი განადგურებულია ან გამეჩხერებულია ტყის გაკაფვის გამო ზვავების ჩამოსვლის შესაძლებლობა დიდია, ხოლო ტყის ზედა საზღვრის ქვემოთ, ხშირი ბუნებრივი ტყის არსებობის შემთხვევაში, ამ ფერდობებზე ზვავები არ წარმოიქმნებოდნენ.

უხვთოვლიან ზამთრებში წარმოქმნილი ზვავები, რომლებიც წარმოიქმნებიან როგორც ტყის საზღვრის ზემოთ, ასევე ტყის საზღვრის ქვემოთ, დიდ ზიანს აყენებენ კურორტის ტყეს.

2. კ ლ ი მ ა ტ ი

კურორტ ბახმაროს ტერიტორია ხასიათდება ნოტიო სუბტროპიკული კლიმატით, რომლის განმაპირობებელი ატმოსფეროს ცირკულაციური პროცესები, შავი ზღვის გავლენა და რელიეფის თავისებურებებია. კურორტის კლიმატზე დიდ გავლენას დასავლეთიდან შემოჭრილი ნოტიო ჰაერის მასებიც ახდენს. რელიეფის რთული თავისებურება ხელს უწყობს დასავლეთის ჰაერის მასების აღმავალ დინებებს და წყლის ორთქლის კონდენსაციას, რაც თავის მხრივ, განაპირობებს უხვ ნალექებს, განსაკუთრებით შავი ზღვისკენ მიმართულ მთის ფერდობებზე.

მთის მშრალ ჰაევას ერთვის ზღვის ნოტიო ჰავა, რითაც სამკურნალო თვისებებს იძენს. კლიმატური პირობებიდან გამომდინარე კურორტი რეკომენდებულია სასუნთქი გზებით დაავადების მქონე ადამიანებისათვის. ასეთი კლიმატური პირობები აძლიერებს იმუნიტეტს და განსაკუთრებით ანემიით დაავადებულებისათვის იძლევა საუკეთესო შედეგს, კურორტის კლიმატური პირობების დასახასიათებლად, გარდა მეტეოროლოგიური სადგურის ბახმაროს (1926 მ ზღვის დონიდან) მონაცემებისა, გამოვიყენეთ მეტეოსადგურების ზოტის (1270 მ), ნაბეღლავის (475 მ) და ჩოხატაურის (140 მ) მონაცემები.

2.1. ჰაერის ტემპერატურა

კურორტი ხასიათდება რბილი ჰავით. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა მთელ ტერიტორიაზე დადებითია. სიმაღლის მატებასთან ერთად ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა – მცირდება. დეკემბრიდან მარტის თვის ჩათვლით ჰაერის საშუალო ტემპერატურა უარყოფითია. ყველაზე ცივი თვე ბახმაროში იანვარია და შეადგენს -5⁰-ს, ცალკეულ წლებში უფრო დაბალი ტემპერატურაც (-9⁰ და -10⁰) არის დაფიქსირებული (ცხრ. 2.1).

ცხრილი 2.1.1. ჰაერის საშუალო და წლიური ტემპერატურა

სიმაღლე, მ	თ ვ ე												წლიური
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
ბახმარო													
1926	-5	-5	-2	3	7	10	13	13	10	6	1	-3	4
ნაბეღლავი													
476	4	4	7	11	15	18	20	20	17	14	10	6	12

დიდ საზღვრებში იცვლება ჰაერის აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა. ყველაზე დაბალი მინიმალური ტემპერატურა ბახმაროში, -30⁰ იანვარშია დაფიქსირებული (ცხრ. 2.2).

ცხრილი 2.1.2. ჰაერის აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა

თ ვ ე												წლიური
I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
ბახმარო												
-30	-27	-25	-18	-10	-2	-1	-1	-6	-14	-22	-26	-30
ნაბეღლავი												
-19	-16	-14	-4	-1	5	7	8	3	-4	-12	-15	-19

უარყოფით ტემპერატურიან დღეთა რიცხვიც ცვლილებას განიცდის. მაგალითად, ბახმაროში 87 და 150 ასეთი დღეა დაფიქსირებული.

2.2. ქ ა რ ი

მთიანი რელიეფი ქარის სიჩქარესა და მიმართულებებზე უდიდეს გავლენას ახდენს. წინამთებსა და მთიან რაიონში, რელიეფის დანაწევრების გამო გადატანილი ჰაერის მასები ხშირად იცვლიან მიმართულებას და ქარის მიმართულება დამოკიდებულია ხეობის მიმართულებებზე, ფერდობის ექსპოზიციაზე, მთებისა და მწვერვალების სიმაღლეზე.

უქარო დღეთა რიცხვი ბახმაროში 33-ს შეადგენს. ქარის საშუალო სიჩქარე 2 მ/წმ-ია (ცხრ.2.2.1).

ცხრილი 2.2.1. ქარის საშუალო და წლიური სიჩქარე (მ/წმ)

თ ვ კ												წლიური
I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
ბახმარო												
3	3	3	2	2	2	2	2	1	2	2	3	2

ქარიან დღეთა რიცხვი 65-70%-ს შეადგენს, ძირითადად გავრცელებულია დასავლეთის (27%), აღმოსავლეთის (17%) და სამხრეთ-დასავლეთის (16%) მიმართულების ქარები. ქარის მაქსიმალური სიჩქარე ზოგ შემთხვევაში 25მ/წმ-ს შეადგენს. სიმაღლის მატებასთან ერთად ქარის საშუალო სიჩქარე მატულობს და 2500-3000 მ-ზე აჭარბობს 20 მ/წმ სიჩქარის ქარები. სამწუხაროა, რომ ქარის მიმართულებასა და სიჩქარეზე დაკვირვება მხოლოდ მეტეოსადგურ ბახმაროში წარმოებდა, რომელიც 1926 მ-ის სიმაღლეზე მდებარეობს, ხოლო უფრო მაღალ სიმაღლეებზე ინსტრუმენტალური დაკვირვების მასალები არ არსებობს.

სეზონის მიხედვით ქარის სიჩქარე მცირე ცვლილებას განიცდის. ძლიერ ქარიან დღეთა რიცხვი წელიწადში საშუალოდ 11 შეადგენს (ცხრ.2.2.2).

ცხრილი 2.2.2. ძლიერ ქარიან (>15 მ/წმ) საშუალო დღეთა რიცხვი

თ ვ კ												წლიური
I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
ბახმარო												
1,1	1,7	1,5	1,2	0,7	0,5	0,4	0,6	0,4	1,1	1,0	1,2	11

ძლიერი ქარები ხელს უწყობს ქარბუქიან დღეთა სიხშირეს და ქარის მიერ თოვლის გადანაწილებას უტყეო ადგილებზე.

ბახმაროში ქარბუქიან დღეთა რიცხვი საშუალოდ 30-ს შეადგენს. ქარბუქის მოვლენებს ადგილი აქვს სექტემბრიდან მაისამდე, უფრო ხშირად კი აღინიშნებიან დეკემბრიდან მარტის ჩათვლით, ქარბუქიან დღეთა რიცხვი საშუალოდ მერყეობს 5-დან 8 დღემდე, ხოლო მაქსიმალური რაოდენობა შეადგენს 14-20-ს. ქარბუქიან დღეთა სიმრავლე ხელს უწყობს თოვლის მასების დიდი რაოდენობის დაგროვებას ზვავის კერებში, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს დიდი მოცულობისა და დამანგრეველი ძალის ქარების წარმოქმნას.

2.3. ატმოსფერული ნალექები

საკვლევ ტერიტორიაზე ნალექები არათანაბრადაა განაწილებული და მათი წლიური რაოდენობა არათანაბრადაა განაწილებული და მათი წლიური რაოდენობა იცვლება 1582 მმ-დან (ნაბეღლავი, 475 მ) 1869 მმ-მდე (ბახმარო, 1926 მ) (ცხრ.2.3.1).

ცხრილი 2.3.1. ნალექების საშუალო თვიური და წლიური რაოდენობა

თ ვ კ												XI-III	IV-IX	წლიური
I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII			
ბახმარო														
209	203	174	87	96	126	107	114	153	214	201	185	972	897	1869
ზოტი														
196	190	164	81	91	118	101	108	144	199	188	174	912	842	1754
ნაბეღლავი														
172	148	112	62	52	94	100	129	174	200	163	173	768	814	1532

დიდ საზღვრებში (20-173%) იცვლება როგორც ცალკეული წლების მიხედვით წლის ცივ პერიოდში (XI-III) მოსული ნალექების რაოდენობა, ასევე საშუალო თვიური ნალექების რაოდენობაც. რიგ წლებში კურორტ ბახმაროში იანვრის თვეში მოსულმა ნალექებმა საშუალო მრავალწლიური ნორმის 213% შეადგინა, საშუალოდ ეს რიცხვი 120-145%-ს შეადგენს. მს

ზოტის მონაცემებით ცალკეულ წლებში, დეკემბრის თვეში, საშუალო მრავალწლიური დეკემბრის ნალექების 220-240% შეადგინა, ხოლო ნაბეღლაში - 187-216%.

ამ ტერიტორიაზე უხვი ნალექებით გამოირჩეოდა 1963, 1971, 1975, 1985, 2000, 2003, 2005, 2013, 2016 წლები.

ხშირი და უხვი ინტენსიური ნალექები, რომელიც აღნიშნულ ტერიტორიაზე არც თუ იშვიათია და 2-3 მმ-ს აღემატება საათში, იწვევს ახალმოსული თოვლის ზვავების ფართო გავრცელებას. ახალმოსული ზვავის ჩამოსვლა ხშირად იწვევს ჰაერის წარმოშობას, რომლის გატყორცნის სიშორე ბევრად სცილდება ზვავის გამოზიდვის კონუსს. თოვლის ნაწილაკებით გაჯერებულ ამ ჰაერის ნაკადს დიდი დამანგრეველი ძალა გააჩნია.

2.4. თოვლის საფარი

კურორტის ტერიტორიაზე თოვლის საფარი არათანაბრად არის განაწილებული. სიმაღლის მატებასთან ერთად - საფარის სიმაღლე იზრდება. უხვთოვლიან ზამთარში თოვლის საფარის მაქსიმალურმა სიმაღლემ 2006 წელს 610 სმ-ს მიაღწია. მდგრად თოვლის საფარს და მის სიმაღლეს განაპირობებს ტერიტორიის უხვთოვლიანობა. უხვი თოვისას მოსული ნალექების რაოდენობა ხშირ შემთხვევაში ბახმაროში აღემატება 200 მმ-ს. უწყვეტი ნალექების რაოდენობა, ცალკეულ წლებში იწვევს ახალმოსული თოვლის მნიშვნელოვან მატებას, მაგალითად, იყო წლები, როცა 3-4 დღის განმავლობაში მატებამ 190 სმ შეადგინა, უხვთოვლიან ზამთრებში თოვლის სიმაღლის ნამატი აღემატება 200 სმ-ს და ცალკეულ შემთხვევაში 6-7 დღის განმავლობაში 208-314 სმ-ი შეადგინა.

თოვლის საფარის მაქსიმალური მნიშვნელობა 1932/33 - 2005/2006 წლებში წარმოდგენილია ცხრილში (ცხრ.2.4.1).

ცხრილი 2.4.1. თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე

წელი	თოვლის მაქს.სიმაღლე, სმ	წელი	თოვლის მაქს.სიმაღლე, სმ	წელი	თოვლის მაქს.სიმაღლე, სმ	წელი	თოვლის მაქს.სიმაღლე, სმ
1932/33	290	1950/51	231	1968/69	228	1986/87	327
1933/34	239	1951/52	367	1969/70	371	1987/88	578
1934/35	280	1952/53	375	1970/71	365	1988/89	340
1935/36	230	1953/54	140	1971/72	398	1989/90	377
1936/37	256	1954/55	245	1972/73	206	1990/91	415
1937/38	236	1955/56	306	1973/74	358	1991/97 წლებში მონაცემი არ არის	
1938/39	311	1956/57	354	1974/75	284		
1939/40	197	1957/58	580	1975/76	115	1997/98	212
1940/41	334	1958/59	290	1976/77	163	1998-2000 წწ მონაცემი არ არის	
1941/42	251	1959/60	297	1977/78	433		
1942/43	312	1960/61	228	1978/79	265	2000/01	410
1943/44	250	1961/62	195	1979/80	216	2001/02	288
1944/45	399	1962/63	353	1980/81	390	2002/03	255
1945/46	186	1963/64	318	1981/82	338	2003/04	428
1946/47	359	1964/65	219	1982/83	175	2004/05	254
1947/48	321	1965/66	233	1983/84	416	2005/06	610
1948/49	373	1966/67	471	1984/85	267		
1949/50	315	1967/68	145	1985/86	168		

სამწუხაროდ 1991 წლიდან საქართველოს ტერიტორიაზე მეტეოროლოგიურ სადგურთა და საგუშაგოების რიცხვი 429 დან 17-მდე შემცირდა, ცალკეულ წლებში 1991-1997, 1988-2000 წლებში მს ბახმაროში დაკვირვებები არ წარმოებდა, გარდა ამისა გართულდა მეტეოროლოგიური მასალის მოპოვებაც, ამდენად ბოლო წლებზე მხოლოდ სხვადასხვა პუბლიკაციებით ან თეორიული გამოთვლებით გვექმნება წარმოდგენა.



ნახ. 2.4.1. საშუალოთოვლიანი ზამთარი კურორტ ბახმაროში

იმ მონაცემების მიხედვით (1932-2006 წწ.) რომელიც მოგვეპოვება შეიძლება დავადგინოთ, რომ თოვლიან დღეთა რაოდენობა ბახმაროში საშუალოდ 189 დღეს შეადგენს, ხოლო მაქსიმუმი 231 დღეა დაფიქსირებული. თოვლის საფარი ოქტომბრიდან მაისამდეა. მდგრადი თოვლის საფარი საშუალოდ ნოემბრის მეორე დეკადაში აღინიშნება, ხოლო დნობა - მაისის მესამე დეკადაში (ნახ. 2.4.1).

ზოგადად გურიის ტერიტორიაზე, ოთხი მეტეოროლოგიური სადგურის: ბახმაროს (1926მ), ზოტის (1270 მ), ნაბეღლავის (475 მ) და ჩოხატაურის (140 მ) მონაცემებით მდგრადი თოვლის საფარიან დღეთა რიცხვი შემდგენიარად ნაწილდება (ცხრ. 2.4.2).

ცხრილო 2.4.2. მდგრადი თოვლის საფარან დღეთა რაოდენობა გურიის ტერიტორიაზე წლების მიხედვით

დღეთა რაოდენობა										
3	5	10	20	30	50	100	150	200	250	300
ბახმარო										
56	56	56	56	56	56	56	54	14	0	0
ზოტი										
36	36	34	27	19	10	3	0	0	0	0
ნაბეღლავი										
40	36	33	24	21	11	1	0	0	0	0
ჩოხატაური										
20	20	15	11	4	2	0	0	0	0	0

ცხრილიდან ჩანს, რომ მდგრადი თოვლის საფარის ზონა გადის 400-500 მ-ის სიმაღლეზე, სადაც მდგრადი თოვლის ხანგრძლივობა ზამთრების 50%-ზე მეტ შემთხვევაში ერთ თვეს აღემატება, ხოლო 2000 მ-ის სიმაღლეზე მდგრადი თოვლის საფარი 6-7 თვეს აღწევს.

3. თოვლის ზვავების ძირითადი პარამეტრების დადგენის მეთოდები.

ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებების, მით უფრო საინჟინრო რეკომენდაციების შემუშავებისა და განხორციელებისათვის აუცილებელია ზვავის მაქსიმალური სიჩქარისა და დარტყმის ძალის დადგენა. ზოგიერთი ზვავის კერიდან ერთ ზამთარში რამოდენიმეჯერ ჩამოდის ზვავე და მათი მაქსიმალური სიჩქარისა და დარტყმის ძალის დასადგენად მრავალწლიანი მონაცემებია საჭირო; ერთ ზვავშემკრებში ჩამოსული ზვავის დარტყმის ძალისა და სიჩქარის დასადგენად რამდენიმე ასეული ზვავის მონაცემებია გასაზომი მისი მოძრაობის გასწვრივ. ერთ ზვავშემკრებში ასეთი გაზომვების განხორციელება პრაქტიკულად შეუძლებელია. ზვავების ცალკეული მახასიათებლებისა და ზვავების დინამიური მახასიათებლების დასაზუსტებლად და გამოსათვლელად აუცილებელია თეორიული მეთოდების გამოყენება.

ზვავების მახასიათებლების გაანგარიშების მრავალი ფორმულის ანალიზის საფუძველზე შედგენილი იქნა სპეციალური მითითება და ინსტრუქცია [14] ზვავის მახასიათებლების გაანგარიშების, ზვავსაწინააღმდეგო დამცავი ნაგებობების დაპროექტებისა და მშენებლობის შესახებ.

ქვემოთ მოყვანილია ის ფორმულები, რომლების გამოყენებულა ასეულობით ზვავშემკრებში წარმოქმნილი ზვავის მახასიათებლების გაანგარიშების დროს.

ა) ზვავის მოძრაობის სიჩქარის განსასაზღვრავად გამოიყენება ფორმულები:

$$v = \sqrt{\frac{as}{2}}, \quad a = 9,8(\sin \alpha - f \cos \alpha), \quad (3.1)$$

$$v = \sqrt{\frac{a(s_0 + s)}{2} + \left(\frac{s_0}{s_0 + s}\right)^3 \left(v_0^2 \cos^2 \Delta\alpha - \frac{as_0}{2}\right)}, \quad (3.2)$$

$$v = \sqrt{2gz}, \quad z = h - \frac{H - I}{L}, \quad (3.3)$$

სადაც v - ზვავის სიჩქარეა გზის მოცემულ წერტილში, მ/წმ;

α - ფერდობის დახრის კუთხეა, გრადუსებში;

s - ფერდობის სიგრძე, მ-ში;

s_0 - ზვავის გზის წინა მონაკვეთების სიგრძეთა ჯამი;

v_0 - ზვავის სიჩქარეა განვლილი გზის მონაკვეთის ბოლოს;

$\Delta\alpha$ - წინა და მოცემული გზის მონაკვეთების დახრის კუთხეებს შორის სხვაობა, გრად;

g - სიმძიმის ძალის აჩქარება, მ/წმ²;

H - ზვავის მოწყვეტისა და გაჩერების ადგილებს შორის სიმაღლითი სხვაობა, მ-ში;

h - იგივე, ზვავის მოძრაობის გრძივი პროფილის იმ წერტილზე, სადაც განისაზღვრება v ზვ;

L - ზვავის მოძრაობის გზის ჰორიზონტალური პროექციის სიგრძე, მოწყვეტის ადგილიდან, ზვავის გამოტანის წინა ნაპირამდე, მ;

I - იგივე იმ წერტილამდე, სადაც განისაზღვრება v ზვ.

ბ) ზვავის დარტყმის ძალა უძრავ წინააღმდეგობაზე გამოითვლება ფორმულით:

$$p = \frac{\gamma_{zv} \sin^2 \beta}{g}, \quad (3.4)$$

სადაც: p - ზვავის ზემოქმედება წინააღმდეგობაზე, ტ/მ²;

γ_{zv} - 0,45 ტ/მ²;

β - კუთხე ზვავის მოძრაობის მიმართულებასა და ნაგებობის

ზედაპირს შორის, გრად.

გ) ზვავის მოცულობას ითვლიან ფორმულით:

$$W=0,4F \cdot h, \quad (3.5)$$

სადაც: W - ზვავის მოცულობა, მ³;

F - ზვავშემკრების ფართობი, მ²;

h - ზვავშემკრებში თოვლის საფარის სიმაღლე, მ.

ზვავის სიჩქარის განსაზღვრისათვის აუცილებელია სხვადასხვა დახრილობის ფერდობისათვის $\alpha = 9,8 (\sin \alpha - f \cos \alpha)$ კოეფიციენტის გამოთვლა. სამუშაოს გასამარტივებლად ეს კოეფიციენტი წინასწარ გამოვთვალეთ (ცხრ.3.1).

ცხრილი 3.1. a კოეფიციენტის ცვლილება ფერდობის დახრის კუთხის α (გრადუსი) მიხედვით

α	a	α	a	α	a	α	a	α	a
50	6,0	38	4,1	26	2,1	14	-0,006	2	2,1
49	5,8	37	3,9	25	1,9	13	-0,2	1	-2,2
48	5,6	36	3,8	24	1,8	12	-0,3	0	-2,4
47	5,5	35	3,6	23	1,6	11	-0,5	-1	-2,5
46	5,4	34	2,2	22	1,4	10	-0,7	-2	-2,7
45	5,2	33	3,2	21	1,3	0	-0,9	-3	-2,9
44	5,0	32	3,1	20	1,1	8	-1,1	-4	-3,1
43	4,9	31	2,9	19	0,8	7	-1,3	-5	-3,3
42	4,7	30	2,7	18	0,7	6	-1,5	-6	-3,4
41	4,6	29	2,5	17	0,5	5	-1,6	-7	-3,6
40	4,4	28	2,4	16	0,3	4	-1,8	-8	-3,8
39	4,3	27	2,2	15	0,2	3	-2,0	-9	-4,0

სხვადასხვა სიჩქარით მოძრავი ზვავისათვის (v) ასევე წინასწარ გამოვთვალეთ ზვავის მაქსიმალური დარტყმის ძალა (p). (ცხრ.3.2). ამ ორი ცხრილის საშუალებით გამარტივდა რთული გამოთვლები, რომლებიც 1.1-1.5 ფორმულებშია წარმოდგენილი [2,3].

ცხრილი 3.2. ზვავის სიჩქარე და დარტყმის ძალა

v	p	v	p	v	p	v	p	v	p	v	p	v	p
1	0,05	11	5,5	21	20,2	31	44,1	41	77,1	51	119,4	61	170,8
2	0,2	12	6,6	22	22,2	32	47,0	42	80,1	52	124,2	62	176,5
3	0,4	13	7,7	23	24,2	33	50,0	43	84,9	53	129,0	63	182,2
4	0,7	14	9,0	24	26,4	34	53,0	44	88,9	54	133,9	64	188,0
5	1,1	15	10,3	25	28,7	35	56,2	45	93,0	55	138,9	65	194,0
6	1,6	16	11,7	26	31,0	36	59,5	46	98,1	56	144,0	66	206,1
7	2,0	17	13,2	27	33,4	37	62,8	47	101,4	57	149,2	67	206,1
8	2,9	18	14,8	28	36,0	38	66,3	48	105,8	58	154,5	68	212,8
9	3,7	19	16,5	29	38,6	39	69,7	49	110,2	59	159,8	69	218,6
10	4,6	20	18,3	30	41,3	40	73,5	50	114,8	60	165,3	70	225,0

4. თოვლის ზვავების ბავრცელება და რეჟიმი

4.1. ზვავსაშიშროების ზოგადი დახასიათება

მთიანი რაიონების ზვავსაშიშროების თავისებურებას განსაზღვრავს ზვავების ისეთი რაოდენობრივი მახასიათებლები, როგორცაა ზვავსაშიშროების კოეფიციენტი, ზვავშემკრებების სიხშირე, ზვავების ჩამოსვლის სიხშირე და ზვავსაშიშროების ხანგრძლივობა. ამ რაოდენობრივი მახასიათებლებიდან ზვავსაშიშროების კოეფიციენტი და ზვავშემკრებების სიხშირე იცვლება მხოლოდ სივრცეში, რადგან ისინი დამოკიდებული არიან სივრცეში ცვალებად და დროში უცვლელ ისეთ ფაქტორებთან, როგორცაა რელიეფის დანაწევრება, ფერდობების დახრილობა და ადგილის ტყიანობა. ზვავსაშიშროების ფერდობები და ზვავშემკრებები მუდმივად არსებობენ, ხოლო ზვავების წარმოქმნა ამ ზვავშემკრებებსა და ფერდობებზე დამოკიდებულია კლიმატურ ფაქტორებზე.

ზვავების ჩამოსვლის სიხშირე და ზვავსაშიშროების პერიოდის ხანგრძლივობა, რომელიც წლიდან წლამდე ცვალებად კლიმატურ ელემენტებზეა დამოკიდებული, იცვლება როგორც სივრცეში ისე დროშიც. ამ რაოდენობრივი მახასიათებლების დროში ცვალებადობის დასადგენად აუცილებელია მათი მაქსიმალური, საშუალო და მინიმალური მნიშვნელობების განსაზღვრა, მნიშვნელოვანია ტერიტორიაზე მათი ცვალებადობის დადგენაც.

ზვავსაშიშროების კოეფიციენტი (ზვავსაშიშროების შეფარდება საერთო ფართობთან გამოსახული პროცენტებში), როგორც ტერიტორიის ზვავსაშიშროების ხარისხის მაჩვენებელი შემოდებული იყო ვ. ცომაიას და კ. აბდუშელიშვილის მიერ [15].

$$K = \frac{a(f_a - f_n) + bf_n}{F} 100\%, \quad (4.1)$$

ღ. ქაღდანმა დააზუსტა აღნიშნული ფორმულის ცალკეული მნიშვნელობები [8], რის შემდეგ კოეფიციენტის გამოსათვლელმა ფორმულამ მიიღო შემდეგი სახე:

$$K = \frac{af_6 + bf_n}{F} 100\%, \quad (4.2)$$

სადაც K - არის ზვავსაშიშროების კოეფიციენტი პროცენტებში;

f_6 - უტყეო, $\geq 15^0$ ფერდობების ფართობია კმ²-ში;

f_n - ტყიანი, $\geq 15^0$ ფერდობების ფართობია კმ²-ში;

F - იმ მონაკვეთის ფართობია კმ²-ში, რომლისთვისაც უნდა გამოითვალოს ზვავსაშიშროების კოეფიციენტი;

a და b - პარამეტრები, ≥ 15 ფერდობებისათვის $a = 0,8$; წიწვოვანი ტყით დაფარული ფერდობებისათვის $b = 0,04$, შერეული ტყით დაფარული ფერდობებისათვის $b = 0,06$, ფოთლოვანი ტყით დაფარული ფერდობებისათვის $b = 0,08$.

მოცემული ფორმულით (4.2) მსხვილმასშტაბიან რუკებზე, საკვლევი ტერიტორიის თითოეული კვადრატული კილომეტრისათვის დავადგინეთ ზვავსაშიშროების კოეფიციენტი. ჩატარებულმა სამუშაომ გამოავლინა, რომ ზვავსაშიშროების კოეფიციენტი იცვლება 1-დან 80%-მდე.

რაიონს, სადაც ზვავსაშიშროების კოეფიციენტი $< 20\%$ -ზე, ანუ სადაც ზვავსაშიშროების ფერდობთა 20% -ზე ნაკლები, უკავია მთელი ტერიტორიის 10% და, ძირითადად, მოიცავს შედარებით მცირე დახრილობის, ტყით დაფარულ ფერდობებს. განსაკუთრებით დიდი ფართობები უჭირავს რაიონს, სადაც ზვავსაშიშროების კოეფიციენტი $20-40\%$ -ია (მთელი ტერიტორიის 35%) და $40-60\%$ (45%); ისინი ძირითადად მოიცავენ უტყეო და მენხერტყიან, საკმაოდ ციცაბო ფერდობებს. რაიონს, სადაც ზვავსაშიშროების კოეფიციენტი $> 60\%$ -ზე, უკავია მთელი ტერიტორიის 10% . ის მოიცავს მაღალმთიან უტყეო, ციცაბო ფერდობებს, ძირითადად, მთა გადრეკილის მიდამოებში.

ზვავების ერთ-ერთი ძირითადი რაოდენობრივი მახასიათებელია ზვავშემკრებების სიხშირე (ზვავშემკრებების რაოდენობა ერთეულ ფართობზე). ტერიტორიის ერთეულზე ზვავების გავრცელების სიხშირის განსაზღვრის მეთოდი ზვავშემკრებების ტერიტორიული გავრცელების სიხშირის რეალურ სურათს, სადაც გამოყოფილია სხვადასხვა სიხშირის რაიონები [9].

საკვლე სამუშაოების, აეროფოტოსურათების და კარტომეტრული მასალების ანალიზმა საშუალება მოგვცა დაგვედგინა ყველა ზვავშემკრების ადგილმდებარეობა და გამოგვეთვალა მათი რაოდენობა ტერიტორიის კმ²-ზე.

რთული ზვავის კერების არსებობის დროს ცალკეულ ზვავშემკრებად მივიღეთ ზვავშემკრები, სადაც დამოუკიდებლად შეიძლება წარმოიქმნას ზვავი, მიუხედავად იმისა, რომ მას შეიძლება ჰქონდეს სხვა ზვავშემკრებებთან საერთო გამოზიდვის კონუსი ან ზვავსადენის ნაწილი.

საკვლე ტერიტორიაზე ზვავის კერების გავრცელების სიხშირე საკმაოდ დიდია, რაც განპირობებულია, ძირითადად, დიდი ჰორიზონტალური და ვერტიკალური დანაწევრებით და თოვლიანობით. რაიონებს, სადაც ზვავის კერების რაოდენობა 5-10 ან >15-ზე 1კმ²-ზე, უჭირავს შედარებით მცირე, დაახლოებით 10%-მდე, ფართობი. ტერიტორიის უმეტესი ნაწილი (80%) უკავია რაიონს, სადაც ზვავის კერების სიხშირე 1 კმ²-ზე შეადგენს 10-15-ს.

ზვავსაშიშროების ერთი და იგივე რაოდენობრივი მახასიათებელი ზვავების ჩამოსვლის სიხშირეა. ერთ ზამთარში, ერთი და იგივე ზვავის კერიდან ზვავების ჩამოსვლის სიხშირის გამოთვლის მეთოდი ლ.ქაღდანის მიერ არის შემუშავებული [7] და გამოიხატება შემდეგი ფორმულით:

$$r = \frac{2,55e^{0,006\Delta h} (h_a - \Delta h)}{17200\alpha^{-2} [(0,9 + \rho)^6 + (0,99 + \rho^2)^6]} \quad (4.3)$$

სადაც r - არის ზვავების ჩამოსვლის სიხშირე ერთი და იგივე ზვავის კერიდან ერთი ზამთრის განმავლობაში;

e - ნატურალური ლოგარითმის ფუნქცია;

h_a - ზამთარში თოვლის მაქსიმალური სიმაღლე, სმ-ში;

Δh - თოვლის მატება ერთი თოვისას, სმ-ში;

α - ფერდობის დახრის კუთხე, გრად.;

ρ - თოვლის სიმკვრივე, გრამ/სმ³.

ზვავების ჩამოსვლის სიხშირის გამოთვლის დროს Δh -ის ნაცვლად ჩაისმება (4.3) ფორმულის მნიშვნელის გამოთვლილი სიდიდე.

ზვავების ჩამოსვლის სიხშირე სხვადასხვა ზამთარში სხვადასხვაა და თოვლიანობაზეა დამოკიდებული. უხვთოვლიან ზამთრებში, ზვავების ჩამოსვლის სიხშირე დიდია. ტერიტორიის ნახევარი უკავია რაიონს, სადაც ზვავების ჩამოსვლის სიხშირე ერთ ზამთარში შეადგენს 5-10-ს, დაახლოებით 25-25% უკავიათ რაიონებს, სადაც ზვავების ჩამოსვლის სიხშირე ერთ ზამთარში 10-15-ი და 15-20-ია. საშუალოთოვლიან ზამთრებში ზვავების ჩამოსვლის სიხშირე მთელ საკვლე ტერიტორიაზე 5-ზე ნაკლებია. მცირეთოვლიან ზამთრებში ზვავების ჩამოსვლის სიხშირე საკვლევი ტერიტორიის 80%-ზე, ერთ ზამთარში, 3-ზე ნაკლებია, ხოლო ტერიტორიის 20%-ზე ზვავების ჩამოსვლა არ ხდება.

ზვავსაშიშროების ერთ-ერთი რაოდენობრივი მახასიათებელია ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა. ზვავსაშიში პერიოდად აღიარებულია დრო, რომლის განმავლობაში ფერდობებზე არსებული თოვლის სიმაღლე აღემატება კრიტიკულ მნიშვნელობას. ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობად შეიძლება მივიჩნიოთ ზამთრის იმ დღეთა რაოდენობა, როცა თოვლის სიმაღლე აღემატება კრიტიკულ მნიშვნელობას [6].

ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა გამოვთვალეთ 1932 წლიდან ყველა იმ ზამთრისათვის, რათა დაგვედგინა მათი მაქსიმალური, საშუალო და მინიმალური მნიშვნელობები.

კურორტის ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე (მთელი ფართობის 80%), უხვთოვლიან ზამთრებში ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა აღემატება 150 დღეს ერთ ზამთარში; დანარჩენ ტერიტორიაზე ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა შეადგენს 100-150 დღეს.

საშუალოთოვლიან ზამთრებში საკვლევი ტერიტორიის 55% უკავია რაიონს, სადაც ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა შეადგენს 100-150 დღეს, ხოლო 45% რაიონს, სადაც ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა შეადგენს 50-100 დღეს.

მცირეთოვლიან ზამთრებში საკვლევი ტერიტორია მთლიანად უკავია რაიონს, სადაც ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა ნაკლებია 50 დღეზე.

ზემოთ განხილულმა ოთხმა რაოდენობრივმა მახასიათებელმა შესაძლებლობა მოგვცა შეგვეფასებინა კურორტის ტერიტორიის დარაიონება ზვავსაშიშროების ხარისხის მიხედვით [7]. საკვლევ ტერიტორიაზე ზვავსაშიშროების ხარისხის მიხედვით გამოიყო ორი რაიონი: საშუალო და ძლიერი ზვავსაშიშროების რაიონები.

1. საშუალო ზვავსაშიშროების რაიონს მიეკუთვნება ტერიტორია, სადაც თუნდაც ერთი რაოდენობრივი მახასიათებელი აღემატება შემდეგ სიდიდეს: ზვავსაშიშროების კოეფიციენტი - 20%, გავრცელების სიხშირე - 5 ზვავის კერას 1 კმ²-ზე, ზვავების ჩამოსვლის მაქსიმალური სიხშირე - 5 შემთხვევას ერთ ზამთარში, ზვავსაშიში პერიოდის მაქსიმალური ხანგრძლივობა - 50 დღეს ერთ ზამთარში.

აღნიშნული რაიონი საკვლევ ტერიტორიაზე მთელი ფართობის 90%-ს შეადგენს და მოიცავს საშუალომთიან ტერიტორიას მთლიანად, ასევე მაღალმთიანი ტყით დაფარულ, მცირე დახრილობის მქონე უტყეო ფერდობებს.

2. ძლიერი ზვავსაშიშროების რაიონებს მიეკუთვნება ტერიტორია, სადაც ზვავების რაოდენობრივი მახასიათებლები აღემატებიან შემდეგ სიდიდეებს: ზვავსაშიშროების კოეფიციენტი - 40%-ს, გავრცელების სიხშირე - 10 ზვავის კერას 1 კმ², ზვავების ჩამოსვლის მაქსიმალური სიხშირე - 10 შემთხვევას ერთ ზამთარში, ზვავსაშიში პერიოდის მაქსიმალური ხანგრძლივობა - 100 დღეს ერთ ზამთარში.

მოცემულ რაიონს საკვლევ ტერიტორიაზე უკავია ძალიან მცირე ფართობი (10%) და მოიცავს მხოლოდ უტყეო, მაღალმთიან ციცაბო ფერდობებს გადრეკილის მთის მიდამოებში.

4.2. კურორტ ბახმაროს ზეგესაშიშროება

